ხაშურის მოამბე

№5 (86) 6 თებერვალი, ორშაბათი, 2017 წელი

შპს "ჩინეთის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი" სოლიდური თანხით დაჯარიმდა

ყველას კარგად ესმის, რომ ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც განვითარების გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, ნებისმიერი სახის ინვესტიცია მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს რა ამ ფაქტს, ცდილობს ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და მზადაა ინვესტორებს ყველანაირ პირობები შეუქმნას, რომ ჩვენს ეკონომიკაში ფული დააბანდონ. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ინვესტორების მიერ საქართველოში მოქმედი კანონების უზრუნველყოფაზე ვინმემ თვალი

დახუჭოს და მათ მიერ ჩადენილი უკანონობა „ჰაერში გამოეკიდოს". ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ჩვენს მუნიციპალიტეტში მომხდარი ფაქტი, რომლის მთავარი ფიგურანტი შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი" აღმოჩნდა. მკითხველს კარგად მოეხსენება, ეს შპს ჩვენს მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი ქვიშხეთში, სარკინიგზო გვირაბის მშენებლობითაა დაკავებული, რომლის დასრულების შემდეგ ხაშური-ზესტაფონის ურთულესი საუღელტეხილო-სარკინიგზო მაგისტრალი ჩქაროსნული გახდება.

მურმან ნოზაძე (მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების უფროსი):

–შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის" მიერ განხორციელებული უნებართვო მშენებლობა ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში დავაფიქსირეთ. მათ მიერ, სოფელ სათივის მიმდებარედ, მდინარე მტკვარზე აგებული იყო ხიდი, რითაც ჩადენილი იყო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" 44-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნული კანონი, სპეციალური ნებართვის გარეშე, კრძალავს მშენებლობას ან ნებისმიერი სახის რეკონსტრუქციას ისეთ ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, იგივე ეხება ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებს...

აღნიშნული სამართალდარღვევის დაფიქსირების შემდეგ მოვლენები კანონით გათვალისწინებული იურიდიული ნორმებით განხორციელდა. შედგა სპეციალური აქტი და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დადგენილებით ზემოაღნიშნული შპს ათიათასი ლარით დაჯარიმდა. დადგენილებაშივე, კანონიდან გამომდინარე, შპს-ს დაევალა, რომ მოეხდინა კანონდარღვევით აგებული შენობა-ნაგებობის (ხიდი) მთლიანი დემონტაჟი, რომელიც სამ თვეში უნდა განხორციელებულიყო

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი", სხვათაშორის, საქართველოში მოღვაწეობის რამდენიმეწლიან პერიოდში არაერთხელ გაეხვა სკანდალში. სულ რამდენიმე თვის წინ ყველას ახსოვს რამხელა რეზონანსი გამოიწვია ზვარეში, მათი თანამშრომლების მხრიდან, ქართველი დასაქმებულების მასიურმა ცემა-ტყეპამ. შორს ვართ იმისგან, რომ ჩვენი დღევანდელი წერილის თემა სკანდალს უკავშირდებოდეს, მაგრამ სახეზე გვაქვს, მათი მხრიდან, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის აშკარა უგულვებელყოა. სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ ამ შპს-მ არაფრად ჩააგდო კანონი და სამი თვის განმავლობაში, ხიდის დემონტაჟი არცკი გახსენებიათ.

მურმან ნოზაძე: – კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ზედამხედველობის სამსახურმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა სამშენებლო სამართალდარღვევა და შეადგინა №32 შემოწმების აქტი, რითაც შპს-ს მიეცა გაფრთხილება, რომ მის მიმართ გატარდებოდა საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ, რადგან არ მოხდა ხიდის დემონტაჟი, ანუ არ მოხდა ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოფხვრა, სამართალდამრღვევი პირი ჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული თანხის სამმაგი ოდენობით...

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მიღებული ახალი ნორმატიული აქტის (დადგენილება) საფუძველზე, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი" დაჯარიმდა 30 ათასი ლარით. დადგენილებაში შპს-ს კიდევ ერთხელ დაევალა, რომ მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული ხიდის მთლიანი დემონტაჟი.

სხვათაშორის, ჯარიმის თანხა უკვე შეტანილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ხიდის დემონტაჟის განუხორციელებლობის შემთხვევაში კი ჯარიმის თანხა კიდევ გაასამმაგდება და 90 ათას ლარამდე ავა.

ჩვენი მხრიდან კი დავსძენთ: მივესალმებით ასეთ პრინციპულობას და მიგვაჩნია, რომ საქართველოში მოქმედი კანონის უგულვებელყოფა, თუნდაც სუბიექტი მილიარდიანი ინვესტიციის შემომტანი იყოს, არავის ეპატიება.

გ. გოგოლაძე

საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირება სავალდებულო გახდა

იანვრის თვის ბოლოდან, კანონმდებლობით, ძალაში შევიდა ახალი რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ბაზარზე განთავსებული საქონლის ხორცისა და და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სავალდებულო ეტიკეტირებას და ბიზნესოპერატორის ვალდებულებას.

როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორმა **ხათუნა ქიტიაშვილმა**, ახალი რეგულაცია ხელს უწყობს მომხმარებლის ინფორმირებულობას განთავსებული სურსათის შესახებ. მომხმარებლისთვის ამ რეგულაციით ადვილად მიკვლევადი ხდება პროდუქტი. სხვათაშორის, ხორცი უკვე სასაკლაოდან გამოსვლისთანავე უნდა იყოს ეტიკეტირებული. ასე, რომ ეტიკეტზე ძირითადი ვალდებულება, პირველ რიგში, სასაკლაოს აქვს, რომელსაც საქონლის საყურე (საიდენტიფიკაციო) ნიშნით აქვს ინფორმაცია არის თუ არა საქონელი გაზრდილი საქართველოში და ვინ გაზარდა. აუცილებელია ეტიკეტზე მიეთითოს დაკვლის თარიღი. როგორც წესი, სასაკლაოდან, დაკლული საქონელი, ორ ნაჭრად გამოდის. აუცილებელია ეტიკეტი ორივე ნაჭერს ჰქონდეს. დახლებზე ცალკეულ ნაჭრებად დახარისხების შემთხვევაში კი ეტიკეტი თითოეულ ნაჭერს უნდა ჰქონდეს. ეტიკეტზე უნდა იყოს დატანილი სასაკლაოს აღიარების ან პირობითი აღიარების ნომერიც.

ახალი რეგულაციით, „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ საქონლის ხორცი ეტიკეტის გარეშე გაიყიდება, ჯარიმა 400 ლარია. იგივე დარღვევისას კი, ერთი წლის განმავლობაში, თანხა სამმაგდება. პროდუქტის ჩამორთმევა ხდება მხოლოდ ვადაგასულობის შემთხვევაში. და ერთიც: დახლზე ხორცი (ვთქვათ ორი და სამი საქონლის დაკვლის შემთხვევაში) არ უნდა იყოს არეული და ეტიკეტი გარკვევით უნდა ჩანდეს, რომ მომხმარებელმა ადვილად შეძლოს მისი წაკითხვა.

ხაშურმა რეგიონულ ახალგაზრდულ ფორუმს უმასპინძლა

28 იანვარს, ხაშურის №1 საჯარო სკოლამ შიდა ქართლის რეგიონულ ახალგაზრდულ ფურუმს უმასპინძლა, რომელიც ჩატარდა სამოქალაქო განათლების

პროგრამის „მომავლის თაობის" ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ორგანიზაცია PH International-ის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. შიდა ქართლში კი პროგრამის პარტნიორია საზოგადოება „ბილიკი". „მომავლის თაობის" მიზანია გაუმჯობესდეს სკოლებში სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამა, რათა, შემდგომში მოსწავლეებმა შეძლონ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს 11 რეგიონის 480, ხოლო შიდა ქართლის 37 სკოლასთან. ახალგაზრდულ ფორუმში კი შიდა ქართლის რამდენიმე სკოლათან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ფორუმის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების მიერ თემის პრობლემების აქტიური კვლევა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, რეკომენდაციების შემუშავება და თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

მარიკა მღებრიშვილი, საზოგადოება „ბილიკის" გამგეობის თავჯდომარე: ეს იყო პირველი ახალგაზრდული ფორუმი, რომელიც ჩატარდა ხაშურის მინიციპალიტეტში, თუმცა წინა წლებში მიიღეს თქვენი რაიონის სკოლებმა გორში მონაწილეობა, მათი პროექტები კი ეხებოდა უშუალოდ ხაშურისა და სურამის აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზებს. „ახალგაზრდული ფორუმი" არის სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: სამი-ოთხი საათის განმავლობაში ბავშვები მსჯელობენ იმ საკითხებზე რომლებიც აწუხებთ, იქნება ეს სასკოლო თუ ის გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. შემდგომ ირჩევენ პრიორიტეტულ პრობლემას და მსჯელობენ თუ როგორ შეძლებენ ამ პრობლემის თავად მოგვარებას. გეგმავენ აქტივობებს, რომლისთვისაც სჭირდებათ მხარდამჭერები, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, ბიზნენ ან არასამთავრობო სექტორი. ბავშვებს ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ ამ პროექტების მოსამზადებლად და მათ, რეალურად, ძალიან დიდი შრომა გასწიეს დღევანდელი დღის წარმატებით წარმართვისთვის. მათი როლი გამოიხატება იმაში, რომ მათ თავის თავზე უნდა აიღონ იმ ინიციატივების პრაქტიკულად განხორციელება, რომლებიც დაიგეგმა ფორუმის შედეგად, ასე, რომ ისინი უნდა შეეცადონ პრობლემების გადაწყვეტისათვის ინოვაციური, კრეატიული, არასტანდარტული მეთოდების გამოყენებას.

სკოლების მიერ წარდგენილი პროექტების თემატიკა სამ ძირითად საკითხს მოიცავდა: ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, უსაფრთოება და ახალგაზრდების თანამშრომლობა მედიასთან, საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების გაშუქების მიზნით.

პირველი პროექტი ერთობლივი ნამუშევარი იყო სურამის №2, დიმიტრი ყიფიანის სახელობის, ბებნისის და ხცისის საჯარო სკოლებისა. პრეზენტატორები: მირანდა კობერიძე და თეკლა ლომიძე. პროექტის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა თემში, რომლის განსახორციელებლადაც მოსწავლეებმა დაგეგმეს შემდეგი აქტივობები: საინფორმაციო ინტერნეტგვერდის შექმნა, საინფორმაციო ბროშურების დამზადება, გამოკითხვა თემში, ფილმების შექმნა წარმატებულ ისტორიებზე და ინტერნეტ კონკურსის ჩატარება, ექსკურსია ოლიმპიურ მუზეუმში, მარათონი და ადვოკატირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

სურამის, სვენეთის და კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა საკვლევ საკითხად ბულინგი აირჩიეს, რომლის ლოზუნგიც ასე ჟღერდა: „დამარცხებული ბულინგი - მიღწეული მიზანი!" პრეზენტატორები: მარიამ ყაზარაშვილი და ანი ბუნტური. პრობლემის გადასაჭრელად ახალგაზრდებმა უმთავრეს მიზნად მოსწავლეების მაქსიმალური ინფორმირებულობა დაისახეს, რომელიც შემდგომში თავიდან აიცილებს ბულინგის ნეგატიურ შედეგებს. ინიციატივის ფარგლებში დაიგეგმა შემდეგი აქტივობები: ტრენინგები, ვიზიტი იურისტთან და ფსიქოლოგთან, ჩანაწერების გაკეთება „მე ბულინგის მსხვერპლი", ფილმების ჩვენება და განხილვა, დამრიგებლის მიერ, გარკვეული დროის განმავლობაში, სიტუაციური ანალიზის მიწოდება.

რაც შეეხება მესამე პროექტს, ის რუისის №1 და №3, სკრის და ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის მოსწავლეებმა წარადგინეს. პრეზენტატორი: ლენტო ბალიაშვილი. საპროექტო იდეის განხორციელების მიზანი იყო: ახალგაზრდებს შევუწყოთ ხელი გამოუმუშავდეთ სიმართლის თქმის შიშის დაძლევის უნარი, შეეძლოდ თავისუფალი აზრის გამოხატვა, იმავდროულად, მივაწოდოთ ინფორმაცია თავისუფალი აზრის და სიტყვის გამოხატვის შესახებ, ასევე ახალგაზრდებს გამოუმუშავდეთ შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობის უნარი. მოსწავლეებმა დაგეგმეს შეხვედრა მოქმედ ჟურნალისტებთან, სტუმრობა მედია საშუალებებთან, დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე კითხვარის შედგენა და შესაბამისად, ახალგაზრდების გამოკითხვა, ბლოგი სიტყვის თავისუფლების შესახებ, მრგავალი მაგიდის მოწყობა, ახალგაზრდებისათვის შიშის დაძლევის თემაზე, რეალური დოკუმენტური მაგალითების გაცნობა მოსწავლეებისათვის. მოსალოდნელ შედეგად კი ცნობიერების ამაღლება, აქტიური მოქალაქის აღზრდა, სამართლიანობის დამკვიდრების ხელშეწყობა, პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება მიიჩნიეს.

რაც შეეხება პროექტის წერას, რომელსაც მოსწავლეებმა არაჩვეულებრივად გაართვეს თავი და მართლაც საინტერესო საკითხები აირჩიეს საკვლევად, თუმცა, პროექტის განხორციელებისთვის მათ სამი თვე აქვთ. ამ დროში მათ უნდა მიიზიდონ მხარდამჭერები და დონორები, რომლებიც დაეხმარებიან მათ იდეის სრულყოფაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მომავლის თაობასა" და ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლებს აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდათ. მაგალითად ივანე ხრიკულის სახელობის სოფელ ხცისის სკოლის მოსწავლეებმა, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „მომავლის თაობის" მხარდაჭერით, განახორციელეს საკლასო პროექტი „ჩვენც დავბერდებით". მოსწავლეებმა, პედაგოგ ნინო ღულაძის დახმარებით, სკოლაში შეაგროვეს სურსათი და სხვა საჭირო ნივთები და დაურიგეს სოფლის სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებს.

სურამის №2 საჯარო სკოლაში კი განახორციელს შემდეგი პროექტები: „ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღ მომავალს!", „გახდი მწვანე მოქალაქე" და სხვა. ამ პროექტებში ჩართულობით მოსწავლეები ცდილობენ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნა პრაქტიკულად აქციონ და ატარებენ თანატოლთა შორის საგანმანათლებლო პროგრამებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ბავშთა უფლებები, გენდერული თანასწორობა, გარემოს დაცვა, ევროპული ღირებულებების დამკვიდრება სასკოლო საზოგადოებაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და ა.შ. „დიდია სკოლის მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საკლასო პროექტებში, შედეგი კიდევ უფრო დიდია, რამეთუ იზრდება გარემოსა და საზოგადოებაზე მზრუნველი, საკუთარი და სხვისი უფლებების დამცველი, აქტიური მომავლის თაობა", აღნიშნა სკოლის დირექტორმა დალი ბროლიძემ.

ახალგაზრდულ ფორუმს ესწრებოდნენ ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, ხაშურის სპორტის, განათლების, კულტურის სამსახურის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.

თ ახალკაცი

ნინა ბებო 105 წლის გამხდარა

ნინა ბებო 105 წლისაა!კართან ისევ საქმეში გართული დამხვდა, შეშას ამზადებდა ღუმელისთვის. არავის უთხოვია, საქმის გარეშე ვერ ძლებს შრომას მიჩვეული მთიელი ქალი. არც წლების სიმრავლეზე უოცნებია, ასე შემოეპარა 105 წელი. ჩვენი შეხვედრა, გასულ წელს, ზემო აძვისში, მის სახლში მოხდა,

დავპირდი,პირველი მივულოცავდი დაბადების დღეს,მერე,გადავწყვიტე,შვილების, შვილიშვილების გარემოს არ შევეხიზნებოდი,როგორც უცხო. გამიხსენა,გაიხარა. ასე უხარია, როცა მის კართან სტუმარს დაინახავს. თავსაფარი შეისწორა, შეშას ხელი გაუშვა, ცალი ხელით ცოცხს მიწვდა, თან სახლში მეპატიჟებოდა. სახლში სითბოს და ახლადგამომცხვარი ქადების სუნი ტრიალებდა, მთიულმა, ხოჯაშვილის ქალმა, ქართლშიც მთის სუნი შემოიტანა, ბარაქის და სისავსის სუნი. ახლა წლებს ითვლის,ტკივილსა და განცდას ჩვეული,მშვიდად ცხოვრობს თავის ჩაუმქრალ, მტრისთვალგაუხარელ კერაში. შვილი თავს დასტრიალებს, კი არ უთხოვია, არც საჭიროებს, ბევრიც შეუძლია-ამაგს არ უვიწყებს. ღილა, ისევ ისეთი ღილაა მისთვის, ადრე იღვიძებს, ეზოში ფუსფუსებს, ეს აძლებინებს, ძალასაც აძლევს, მხნეობას. თუმცა, ინტერესები შეეცვალა, ტელევიზორს აღარ ვუყურებ, აღარ მაინტერესებსო. თუ რამე ახარებს, შვილიშვილების, მათი შვილების კარგად ყოფნაა, ფიქრებით სულ მათთანაა, სახე უბედნიერდება, როცა მათზე საუბარს იწყებს. ჩემ ნინოს გავხარო, ჩამიხუტა, წლებისგან გალეულ სხეულზე მიმიკრა. წელი კარგად დაიწყო, ოჯახში სიმრავლით, შვილიშვილი დაქორწინდა, კარგი, მოსამსახურე გოგოა, აბა, ახლა ვიღას ენდობი, შეიცვალა ხალხი, ახალგაზრდობაო (თაობათა კონფლიქტში ნინა ბებოც ერთვება). ბავშვობასაც იხსენებდა, ზოგის მადლობელი იყო, ზოგის წყენა ჰქონდა გულში, მარტო ქალი იყო, უცხო კუთხის შვილი, უქმროდ დარჩენილი, შვილწართმეული, ქალობა დავიწყებული,ახლა ბებიაა,ტკბილი ბებია,მისი წლების სიმრავლე ძალას რომ გმატებს. ახლაც ოჯახის უფროსია ორსულიან სახლში, სადღეგრძელოსაც პირველი ამბობს დღეგრძელი ქალბატონი. მის დალოცვას სხვა ძალა აქვს, სხვა ემოცია მოსდევს. გგონია, ვერაფერი შეგეხება, ვერაფერი მოგერევა... ნინა ბებომ დამლოცა, ჯანმრთელობა მისურვა, ბევრი წელი, სხვა მრავალი სიკეთე. ტკბილეულით გამივსო ჯიბეები, როგორც ბებიებმა იციან, შენებს ახალი წელი მიულოცეო, სიტკბო გამატანა გულტკბილმა, ყველას ნინა ბებომ. ისევ დამპატიჟა, მეც კიდევ მივალ, 106 წლის მისალოცად და ბევრი სურვილების, დალოცვის მისაღებად.

თ. ჯავახიშვილი

რვაკუთხედი

დიმიტრი ყიფიანის ოჯახის სიმბოლო

ჩვენთვის ცნობილია,რომ დიმიტრი ყიფიანს ოჯახის სიმბოლოდ რვაკუთხედი ჰქონდა. ბუნებრივია,ჩვენ დავინტერესდით ამ სიმბოლიკით და შევეცადეთ მის გარკვევას.

დიმიტრი ყიფიანს ოჯახში ჰქონდა საწერი მაგიდა რვაკუთხედი ,ეზოში კი აუზიც-რვაკუთხედი. დიმიტრი ყიფიანის ოჯახიდან წაღებულ როიალს, რომელიც დღეს დიმიტრის რძლის შთამომავლების საკუთრებაა, რვაკუთხა ფეხები ჰქონდა.

ალბათ არსებობდა სხვა ნივთებიც დიმიტრი ყიფიანის ოჯახში,რომელიც რვაკუთხედთან იყო დაკავშირებული და რომლებიც დროთა განმავლობაში ან დაიკარგა,ან განადგურდა.

ჩვენთვის საინტერესო ამ შემთხვევაში ის არის,თუ რატომ აიღო იმიტრი ყიფიანმა აღნიშნული რვაკუთხედი ოჯახის სიმბოლოდ და რას უკავშირდება ეს.

ძველ საქრისტიანოში რვიანი მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოა, ვინაიდან ცნობილია, რომ მაცხოვარი იერუსალიმში შესვლიდან მერვე დღეს აღსდგა მკვდრეთით. ძოგადად, რიცხვი რვა სულიერი აღორძინების და მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოა.

„რვიანის" სიმბოლიკა რამდენადმე მისმა ვიზუალურმა იერმაც განსაზღვრა. ესაა- კოსმიური წონასწორობა, სამყაროს მარადიული განახლება, სამყაროს უსასრულობის ნიშანი.

ამ რიცხვს ახალ აღთქმაში მოეპოვება ახსნა-განმარტებები. იესო ქრისტეს აღდგომა აღიქმება, როგორც ქვეყნიერების შექმნის მერვე დღე და მარადისობის დასაწყისი. აქედან გამომდინარე, ბევრ ქვეყანაში ნათლობის ემბაზი რვაკუთხედი ფორმისაა, რაც სიმბოლურად განახლების და სიწმინდის იდეასთან ასოცირდება.

რვაკუთხედი ხშირად გვხვდება ტაძართა დაგეგმარებაში, როგორც აღორძინებისა და მარადიულობის სიმბოლო.

რომანულ ხელოვნებაში ბეთლემის ვარსკვლავს ჩვეულებრივ რვა სხივით გამოსახავდნენ. რვაქიმიანი ვარსკვლავი-ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ემბლემაა ორდენებისთვის.

ორი ერთმანეთზე დადებული ოთხკუთხა ვარსკვლავი, ანუ ორი ჯვარი, ქრისტიანობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ვარსკვლავი ,როგორც წყვდიადში მოციმციმე სხივი, სულის სიმბოლოა; ესაა ხატება სამყაროს შემქმნელი ღვთაებრივი ნებისა.

ამასთან აღმოსავლურ რელიგიებში,რომელიც ლოტოსის სიმბოლიკის წარმომავლობასთან არის დაკავშირებული და ძველი ეგვიპტიდან მოდის, მნიშვნელობა აქვს ყვავილის ფურცელთა რაოდენობასაც. რომელიც აუცილებლად რვა უნდა იყოს.

ეს უზადო ფორმის უმშვენიერესი ყვავილი, რომელიც ნილოსის ნაპირებთან შლამიდან ამოიზრდება, წყლის ზედაპირზე ტივტივებდა. აღიქმებოდა სასწაულებრივ ღმერთისაგან ბოძებულ საჩუქრად. მას ეგვიპტელი ქურუმები მიიჩნევდნენ კოსმიურ სიცოცხლის წყაროდ. საზოგადოდ, სიცოცხლისა და აღორძინების სიმბოლოდ. იმავდროულად, ლოტოსი განასახიერებდა ადამიანის სულიერ ზრდას და მის უნარს -ღვთაებრივი სრულყოფისათვის მიეღწია.

ეს სიმბოლიკა დიმიტრი ყიფიანის სულიერ სამყაროსთან ალბათ ყველაზე ახლოს იყო და ამიტომაც იგი მისი ოჯახის სიმბოლოდ იქცა.

გივი გელაშვილი

დიმიტრი ყიფიანის მუზეუმის ეზო ზამთარში

წელს გაზიფიცირება ჩვენი მუნიციპალიტეტის კიდევ ოთხ სოფელში მოხდება

აგარები, ახალსოფელი, დიდი სატივე და პატარა სატივე – აი, ის სოფლები, სადაც, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, წელს გაზიფიცირება მოხდება. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ გასულ წელს ხცისის, ზეკოტის, გომის (ნაწილობრივ) და სურამში ბიჯნისის უბნის გაზიფიცირების სამუშაოები ჩატარდა. მართლაც სასიამოვნო სიახლეა. მშენებლობები, სავარაუდოდ, გაზაფხულზე დაიწყება და ერთ წელიწადში ბუნებრივი აირით სარგებლობის საშუალება ექნება ახალსოფელში - 76 ოჯახს, პატარა სატივეში – 38 ოჯახს, დიდ სატივეში –167 ოჯახს და აგარებში – 76 ოჯახს.

საქართველოს მთავრობა დასახულ მიზანს მიჰყვება და, პრაქტიკულად, უახლოეს წლებში ქვეყნის ყველა დასახლებული პუნქტი გაზიფიცირებული იქნება.

ხაშურის მუნიციპალიტეტისა და სამუზეუმო გაერთიანების თაოსნობით ჩატარებულ რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება

რუსთაველის საგანმანათლებლო იდეოლოგია „ვეფხისტყაოსანში“

ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ერთი მოგონება უნდა გავიხსენო: მწერლობა რომ დავიწყე, მამაჩემს ერთხანს ვუმალავდი ამას, - წერს შალვა დადიანი მემუარებში „რაც გამახსენდა“ (მოგეხსენებათ, იმ დროს მწერლობა და პოეტობა არისტოკრატიისათვის ერთობ სათაკილო საქმედ ითვლებოდა. ამიტომაც უმალავდა შალვა დადიანი ამ თავის საქმიანობას მამას). ბოლოს და ბოლოს მაინც შეიტყოო ამ ჩემი გატაცების შესახებ მამამ, დამიძახა და მითხრაო: გავიგე მწერლობა დაგიწყია და მეწყინა, მაგ უსარგებლო საქმისათვის რომ მოგიკიდია ხელიო. რაც დასაწერი იყო, ყველაფერი წერია უკვე „ვეფხისტყაოსანში“ და შენ რაღა უნდა დაწეროო, ნეტავი! - უთქვამს ნიკო დადიანს შვილისათვის.

ასეთ რადიკალურად კატეგორიულ მოსაზრებას მე ვერ გავიზიარებ, მაგრამ ის კი მგონია, რომ ადამიანის ცხოვრებაში არ არის ისეთი სოციალური თუ არასოციალური პრობლემა, რაზეც პასუხი არ მოინახება „ვეფხისტყაოსანში“. სხვა საკითხია, ეს პასუხი, ყველასათვის მისღები იქნება თუ არა.

ამჯერად, ერთ კონკრეტულ საკითხზე მივიქცევ თქვენს ყურადღებას, რომელიც კონკრეტულობის მიუხედავად, მთლიანად გამსჭვალავს პოემის შინაარსსაც და პერსონაჟთა მოქმედიანობასაც. ეს არის რუსთველის მიერ პოეტურად გაცხადებული საგანმანათლებლო იდეოლოგია.

თქვენ კარგად იცით, რომ ყველა დიდი მხატვრული ნაწარმოები უხვად შეიცავს პედაგოგიურ იდეებს, იმის მიუხედავად, მათ ავტორებს საგანგებოდ ჰქონდათ განზრახული მკითხველისათვის პედაგოგიური შეხედულებების გაზიარება თუ არა. ეს მხატვრული ლიტერატურის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმის დამახასიათებელი ნიშანია. თქვენ, ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, რომ რუსთველს საგანგებოდ არ განუზრახავს პედაგოგიური ცოდნა მოეწოდებინა ჩვენთვის. ამიტომ, შეამჩნევდით, რომ პედაგოგიური ტრაქტატი ან დიდაქტიკური სენტენციები ამ პოემაში გამოკვეთილი არ არის, მაგრამ მთავარი

პერსონაჟების მოქმედებანი და მსჯელობები სრულიად აშკარად მიგვანიშნებენ ავტორის საგანმანათლებლო კონცეფციაზე. ეს ბუნებრივიც არის, რადგან რომანის რანგის დიდი მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად გულისხმობს რომელიმე პედაგოგიურ იდეოლოგიას (ან იდეოლოგიებს!) და ამის შესაბამის კონცეფციებს. ეს იდეოლოგია და შესაბამისი კონცეფცია, თუ წინა პლანზეა წამოწეული, მაშინ ასეთი ნაწარმოები მხატვრულ-დიდაქტიკურ ნაწარმოებად მიიჩნევა; მაგალითად, ფრანსუა რაბლეს რომანი - „გარგანტუა და პანტაგრუელი“, ჟან-ჟაკ რუსოს „ემილი“, იოჰან პესტალოცის „ლინგარდი და ჰერტრუდა“ და სხვ. „ვეფხისტყაოსანში“, რა თქმა უნდა, ასე არ არის, მაგრამ ის საგანმანათლებლო იდეოლოგია, რაც მასშია გაკრისტალებული, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ პედაგოგიურ ორიენტაციებსა და მრწამსზე, რაც ამ გენიალური ნაწარმოების ავტორს აქვს.

რუსთაველის პედაგოგიური შეხედულებანი ბევრ მეცნიერს აქვს შესწავლილ-გაანალიზებული; მათ შორის მე გამოვყოფდი გიორგი თავზიშვილსა და ვარლამ ქაჯაიას. ამ შეხედულებათა გადმოცემისგან თავს არ შეგაწყენთ, რადგან იგი, ძირითადად, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია. მე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შევეხები რუსთველის საგანმანათლებლო იდეოლოგიის გნოსეოლოგიურ საკითხებს, რაზეც საგანგებოდ, რამდენადაც მე ვიცი, არავის გაუმახვილებია ყურადღება.

როგორც რუსთველოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის საქართველოს რეალურ სამყაროს ასახავს და იმ ზნეობრივ ღირებულებათა მატარებელია, რაც იმ ეპოქის საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. საქართველო კი, რეალურად, ორი ცივილიზაციის გასაყარზე მდებარეობს და იგი მატარებელია როგორც ევროპული, ისე აზიური და, საკუთრივ, კავკასიური ზნეობრივ-სოციალური ღირებულებებისა და ტენდენციებისა. ისე, არც ის იქნება დიდი ცოდვა, თუ ვიტყოდით, რომ საქართველო საკუთრივ კავკასიურ ცივილიზაციასთან ერთად ეზიარა როგორც ევროპულ, ისე აზიური ცივილიზაციის ელემენტებს. ამიტომ იყო გადაჯაჭვული ხალხურ პედაგოგიკასა და პედაგოგიურ პრაქტიკაში აზიური და ევროპული ტენდენციები. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ხან აღმოსავლურ სიბრძნეს იმოწმებენ და ხან - დასავლურს. პოემის ავტორის სიმპატიები ერთ რომელიმე მხარეზე არ არის გადახრილი. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ პრინციპების ერთგულია, რომელიც მას მართებულად მიაჩნია ზოგადი თუ კონკრეტული ამოცანის კონცეპტუალურ საფუძველზე გადაწყვეტისათვის.

მეთორმეტე საუკუნის საქართველოში იმ დროისათვის პოპულაური პედაგოგიური იდეები, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო, ამდენად, ელიტარული საზოგადოებისთვის უცხო არ იყო, როგორც აღმოსავლური - ჩინური, ინდური, სპარსული, ისე დასავლური-ბერძნული, რომაული საგანმანათლებლო იდეები. ამიტომ არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ხან პლატონსა და დიონისე არეოპაგელის მოსაზრებებს ახსენებენ, ხან ჩინურ სიბრძნეს. ეს აღმოსავლური და დასავლური საგანმანათლებლო იდეები რუსთველმა თავის გენიალურ პოეტურ ქურაში გადაადნო და პოეზიის მარგალიტებად ჩასვა „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთაველის საგანმანათლებლო იდეოლოგია, ჩემი აზრით, ყველაზე საგნობრივად გამოჩნდა თინათინის გამეფების ეპიზოდში, კერძოდ, როსტევან მეფის დარიგებაში, რომელიც მან ახლადგამეფებულ შვილს მისცა. როსტევანის დარიგებას სრულიად აშკარა სასწავლო ხასიათი აქვს. ასე, რომ როსტევანმა თინათინს ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა, რომლის მიზანი იყო არა ინფორმაციის (თუნდაც ერთობ საჭიროსი!) მოწოდება, არამედ ცოდნის გადაცემა, ანუ სწავლება. ეს რომ ასეა, ამას თვითონ რუსთველი გვიდასტურებს: „ამა მამისა სწავლას ქალი ბრძნად მოისმინებდა“.

ინფორმაციის გადაცემასა და ცოდნის მიწოდებას შორის არსებითი განსხვავებაა. ინფორმაციის გადაცემას, თუ თან ახლავს ახსნა-განმარტება და მისი პრაქტიკულ-გამოყენებითი შინაარსის ჩვენება, მაშინ ჩვენ სწავლებასთან გვაქვს საქმე, რაც მოცემულ ეპიზოდში სრულიად აშკარაა.

რა საგანმანათლებლო იდეოლოგიას ეფუძნება მოცემულ შემთხვევაში რუსთველის პედაგოგიური კონცეფცია? შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს არის საგანმანათლებლო რაციონალიზმი.

საგანმანათლებლო რაციონალიზმის იდეები სრულიად აშკარად გამოჩნდა დიდი ჩინელი მოაზროვნის კონფუცის მოძღვრებაში, რომელიც თავდაპირველად სწორედ მის საგანმანათლებლო კონცეფციაში აისახა. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეები. რუსთველი რომ კარგად იცნობდა ჩინურ განმანათლებლურ იდეებს, ამაზე, თუნდაც, აფორიზმად ქცეული მისი ერთი მოსაზრების გახსენებაც იკმარებს:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია,
ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

რა თქმა უნდა, ეს აფორიზმი ჩინეთში არც ქვაზე წერია და არც დაფაზე, მაგრამ ავტორის სიმპათიას აღმოსავლური სიბრძნისადმი, ნამდვილად გამოხატავს.

საგანმანათლებლო რაციონალიზმი ევროპულ პედაგოგიკურ მეცნიერებაში გვიან გაფორმდა XVI-XVIII საუკუნეებში, არსებითად ჯონ ლოკისა და ჟან-ჟაკ რუსოს მოძღვრებაში. ეს, პირველ ყოვლისა, ერთიანი პედაგოგიური მიდგომით გამოიხატება. ერთიანი პედაგოგიური მიდგომის პრინციპის უგულებელყოფა არღვევს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობას, რაც დიდი ხანია დადასტურებულია ლოგიკურადაც და ექსპერიმენტულადაც, პედაგოგიკურ თეორიაშიც და პედაგოგიურ პრაქტიკაშიც.

კონფუცის საგანმანათლებლო რაციონალიზმის იდეოლოგიაში ერთიანი მიდგომის პრინციპი სცილდება საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებს და ფართო სოციალურ შინაარს იძენს. სწორედ ამ პოზიციიდან უტარებს შემეცნებით გაკვეთილს როსტევანი თავის ახალგამეფებულ შვილს.

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების“.

როსტევან მეფე ასე არიგებს შვილს: მეფე რომ იქნები დიდთა და მცირეთ ერთნაირად მოექეციო, განსაკუთრებით წყალობის დროს, რადგან თუ ყველას ერთნაირად მოექცევ,ი ამით მათ ნდობას დაიმსახურებ და, ბუნებრივია, ნდობიდან ერთგულებამდე ერთი ნაბიჯია. მზე ხომ ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია, რადგან, იგი საგნებს არ განასხვავებს მათი მნიშვნელობის მიხედვით.

ამ შემთხვევაში, რაში გამოიხატება რაციონალიზმი?

ადამიანთა კეთილგანწყობა სუბიექტის ემოციის სფეროა და მას რაციონალიზმთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ მეფის ზემოაღნიშნულ დარიგებას, შემდგომი განმარტება და მისი პრაქტიკული ღირებულების ახსნა მოსდევს:

„უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვასაცა შესდის და გაედინების“.

აქ უკვე სრულიად აშკარაა ზემოხმობილი დარიგების მნიშვნელობა იმისთვის, ვისაც ხალხის ხელმძღვანელობა ეკისრება. მომდევნო დარიგება კი მთლიანად მეფეთათვის არის განკუთვნილი და პირდაპირ კონკრეტულ შედეგზეა მიმართული:

„ მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია,
უხვსა მორჩილებს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“.

დიდი ახსნა არ სჭირდება იმას, რომ ორგულთა მიმართ უხვი მოწყალების გამოჩენა რაციონალურად გათვლილი მოქმედებაა და არა დადებითი ემოციის მიღება. სწორედ ამგვარი მოქმედების სწავლებაა რაციონალური მიდგომა განათლებისადმი.

როგორც ცნობილია, ადამიანი ცხოველისაგან მხოლოდ ერთი თანდაყოლილი უნარით განსხვავდება. ეს არის შემეცნების უნარი. სწორედ ამ უნარის საშუალებით მოიპოვებს იგი ცოდნას საკუთრივ შემეცნების ან შემეცნების ნაირსახეობის - სწავლის შედეგად. ამ უნარის საშუალებით ხდება იგი სოციალური არსება, სოციალურ არსებას კი სოციალური პასუხისმგებლობები აკისრია, რაც მეტ-ნაკლები კატეგორიულობით არის ასახული საგანმანათლებლო თეორიებში. მიჩნეულია, რომ ცოდნის გაცემა ფსიქოსოციალური მოვლენაა, რაც პიროვნების სოციალიზაციის პროცესში პიროვნულ მოთხოვნილებად იქცევა. ამაზე, ჯერ

(დასასრული V გვერდზე)

(დასასრული)

ხაშურის მუნიციპალიტეტისა და სამუზეუმო გაერთიანების თაოსნობით ჩატარებულ რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება

რუსთაველის საგანმანათლებლო იდეოლოგია „ვეფხისტყაოსანში“

კიდევ ძველი რომაელი მოაზროვნე და პედაგოგი კვინტილიანე მიუთითებდა.

პოემიდან თქვენ ყველას გახსოვთ, როგორი მოწყენილი იჯდა სუფრასთან როსტევან მეფე მისი ქალიშვილის გამეფებასთან დაკავშირებულ ნადიმზე. რა აწუხებდა მას მაშინ, როდესაც სასიხარულოდ ჰქონდა საქმე? სწორედ ამის გასაგებად ეახლნენ მას ავთანდილი და ვაზირი სოგრატი. რა გაირკვა? თურმე მეფეს ის აწუხებდა, რომ:

„კაცი არ არის, სითგანაც საბრძანებელი ჩვენია,

რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“.

ამრიგად, რუსთველმა კარგად იცის ცოდნის გადაცემის სოციო-ფსიქოგენური მოთხოვნილება, რაც მისი საგანმანათლებლო იდეოლოგიის არსებითი მახასიათებელია. ეს, ამავდროულად, იმაზეც მიუთითებს, რომ იგი დასავლურ საგანმანათლებლო კონცეფციებსაც არის ნაზიარები.

რა აწუხებს როსტევანს? სხვათა განათლებაზე ზრუნვის კეთილშობილური მოთხოვნილება? არა, მას აწუხებს საკუთარი სოციალური მოვალეობის შეუსრულებლობა, რაც მისი ცოდნის საყოველთაო, საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევის პროცესის შეფერხებას უკავშირდება.

რუსთაველის საგანმანათლებლო იდეოლოგია მწყობრ მსოფლმხედველობრივ კონცეფციაზეა აგებული, ამიტომ, მის მიერ გამოთქმული მსჯელობანი და შეფასებები, როგორც ეს რაციონალიზმისათვის არის დამახასიათებელი, გადაჭრით პასუხს იძლევა ყველა პრობლემაზე, რომელიც პერსონაჟების წინაშე დაისმის. მოქმედიანობაში პრაქტიკულად გამოუსადეგარ ფორმალურ ცოდნას იგი სრულიად უსარგებლოდ მიიჩნევს. აქ, უნდა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, რაც აღწერილია ქალწულ ნესტან-დარეჯანის პირველად ხილვით დაბნედილი ტარიელის ამბავი:

გრძნობადაკარგულ ტარიელს, მეფის სპასპეტსა და ამირსპასალარს, ცხადია, ხელმწიფე უყურადღებოდ არ დატოვებდა და საუკეთესო მკურნალებს დაახვევდა თავზე. აი, როგორ იგონებს ამას ტარიელი:

„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარეშემომცვიდიან,

მათ ხელთა ჰქონდათ მუსაფი, ყოველნი იკითხვიდნიან,

მტერდაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩამსვიდიან...“

„მუყრნი და მულიმნი“, რა თქმა უნდა, დიდად განსწავლულნი არიან და, როგორც რაციონალიზმის ერთგულ მიმდევარს შეეფერება, რუსთველი ამგვარ ცოდნაში კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისას სასარგებლოს ვერაფერს ხედავს. ამიტომაც, აგდებულად ლაპარაკობს მათს „სამკურნალო გარჯაზე“ ტარიელი.

პოზიტიური, უფრო კი, რაციონალური საგანმანათლებლო იდეოლოგია აბსოლუტურად არის ორიენტირებული ცოდნის სოციალურ შინაარსსა და დანიშნულებაზე. ამ იდეოლოგიაში გაკრისტალებულია სწავლების პრაქტიკული შედეგიანობის მოთხოვნა, ცოდნის მატერიალიზაციის პრინციპი.

თანამედროვე პედაგოგიკასა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში საყოველთაოდ მიღებულია პოზიტიური ცოდნის ასეთი განსაზღვრება: ცოდა არის ისეთი ინფორმაციის ფლობა, რომლის შესაბამისი მოქმედების განხორციელება შეუძლია სუბიექტს. რუსთველს ეს დებულება ჯერ კიდევ რვანახევარი საუკუნის წინათ აქვს პოეტური ფორმით გადმოცემული:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს, ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

ცოდნის სოციალურ დანიშნულებას ამაზე უკეთ ვერ განმარტავ!

სწავლებას რა უმაღლეს ფუნქციას აკისრებს რუსთველი?

„მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

მე ვფიქრობ, ეს ასე უნდა გავიგოთ: სწავლებამ, განათლებამ, საერთოდ, უნდა გვაზიაროს სამყაროს უზენაეს კანონზომიერებებსო. კანონზომიერებების ცოდნა განაპირობებს ადამიანის რაციონალურ მოქმედიანობას, რადგან იგია მსოფლმხედველობის საფუძველი. მსოფლმხედველობა კი, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს ადამიანის მოქმედიანობას საერთოდ, კერძოდ, მის კონკრეტულ მიზანმიმართულ საქმიანობას.

ცოდნის სოციალური დანიშნულებისა და მისი რეალიზაციის აუცილებლობის ცოდნა საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ კონკრეტული ქმედება განხორციელდეს. საამისოდ საჭიროა კიდევ ერთი სოციალური თვისების - ნებისყოფის აღზრდა. ნებისყოფის არსებობა რაციონალური მოქმედებისათვის აუცილებელი პირობაა. ეს კარგად არის ნაჩვენები „ვეფხისტყაოსანში“, გონებადაბინდული ტარიელის ქცევების მაგალითზე. რუსთველმა ნებისყოფის ისეთი განსაზღვრება ჩამოაყალიბა მაღალპოეტურიფორმით,რომლისმსგავსი, არა მგონია, რომელიმე ფსიგოლოგიურ ტრაქტატში მოიძებნებოდეს:

„რაც არა გწადდეს იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

ბოლოს უნდა დავასკვნა, რომ რუსთველის საგანმანათლებლო იდეოლოგია ეფუძნება პედაგოგიურ რაციონალიზმს, რომელიც ნასაზრდოებია, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სიბრძნით. საამისოდ ძალიან ბევრი მაგალითის მოტანა და ანალიზი შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი კონფერენციის რეგლამენტი, ვფიქრობ, პირადად მე, სწორედ რომ რაციონალურად გამოვიყენე.

ახლა, თუ ნებას მომცემთ, რუსთველის ერთი გამოთქმის კომენტარს გავაკეთებ.

გახსოვთ, ალბათ, როსტევანის დარიგებიდან ეს ადგილი:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“

ამ სტრიქონში ნახსენები „ნეხვი“, რომელიც „ვარდის“ გვერდით მოისხენიება, დღეს რუსთველოლოგიაშიც და რიგით მკითხველთა ცნობიერებაშიც გაიგივებულია საქონლის ფუნასთან. ძნელი წარმოსადგენია, რომ გენიალურ პოეტსა და იგავმიუწდომელ ესთეტს, ვარდი, ფუნა და მზე ერთ კონტექსტში მოეხსენიებინა. ამას პირველად ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა და სწავლულმა პედაგოგმა იოსებ ანდრიაშვილმა მიაქცია ყურადღება და შესაბამისი სტატიაც გამოაქვეყნა სამეცნიერო ჟურნალში. აწგანსვენებული მეცნიერი კახელი იყო და კარგად იცოდა, რომ კახეთში „ნეხვი“ ჰქვია ისეთ ყვავილს, რომელიც შეხედულებით ვარდისგან არაფრით განსხვავდება, მხოლოდ სუნი აბსოლუტურად არ აქვს. კახელები, დღესაც, წარმოსადეგ კაცს, რომელიც შინაარსით არაფრის მაქნისია, ნეხვს უწოდებენ. მეც არაერთგზის მსმენია: ეგ ვარდი არ არის, ნეხვიაო, - როდესაც ლამაზი ვარდები დამინახავს და მომწონებია.

იოსებ ანდრიაშვილის ეს მოსაზრება ნაფიცმა რუსთველოლოგებმა არ გაიზიარეს და, ვფიქრობ, ძალიან შეცდნენ.

გენიალური შოთა „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ გვეუბნება, რუსთველი ვარო და რუსთველოლოგები მაინც ჯიუტად იმეორებენ, არა რუსთაველიაო. დიდ რუსთველს არ დაუჯერეს და რა გასაკვირია, იოსებ ანდრიაშვილსათვის რომ არ დაეჯერებინათ. საბედნიეროდ, ახალგამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სრულ ტექსტში, რომლის შემდგენელია ცნობილი რუსთველოლოგი მურმან თავდიშვილი, საგანგებოდ არის განარტებული ზემოაღნიშნული სიტყვა „ნეხვი“ და ახსნილია ისე, როგორც მე უკვე მოგახსენეთ.

ზურაბ ცუცქირიძე

- სახალისო ფოტო -

ორი სურათი ერთი წარწერით

= დ ა შ ლ ი ლ ე ბ ი =

- გამოფენა -

ვიცოდეთ, რისი პატრონები ვართ!

1 თებერვალს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ფოტო-გამოფენა „საგანძურის პრეზენტაცია გაიმართა. „საგანძური" ეს არის ქართული ქრისტიანული ხელოვნების 35 ნიმუშის ნატურალური ზომების დაცვით შესრულებული ფოტოვერსია. ფოტო-გამოფენა საქართველოს კულტურისა და ძეგლთ დაცვის სამინისტროს, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის, საქართველს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით შეიქმნა - კათალიკოს პატრიარქის ილია II აღსაყდრების 35-ე წლისთავის აღსანიშნავად. პროექტის ავტორია საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროექტების მენეჯერი მაია ჯამბაზიშვილი.



მაია ჯამბაზიშვილი: ამ გამოფენით ხაშურს 2013 წელსაც ვსტუმრობდით, რომელმაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვარიელებლებში. პროექტის მიზანია ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის, ქართული, მართმადიდებლური ღირებულებების წარმოჩენა და დაცვა. „ვიცოდეთ რისი პატრონები ვართ!" – მოგვიწოდებს პატრიარქი და ლოცვა-კურთხევას აძლევს „საგანძურს" იმოგზაუროს საქართველოს რეგიონებში და ყველას მოფინოს უდიდესი სიწმინდეების მადლი!

გამოფენა ხაშურის მმხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1 მარტის ჩათვლით გაგრძელდება და მისი დათვალიერება ყველა მსურველისათვის თავისუფალი იქნება.

საქველმოქმედო კონცერტი - სურამში

სურამის კულტურის ცენტრში, სურამის 2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა ინიციატივით, ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი ჩვენი სკოლის მოსწავლის დასახმარებლად, რომელსაც სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა. კონ-

ცერტში მონაწილეობდნენ ასევე სურამის № 1 და №4 საჯარო სკოლის, ქ. ხაშურის №1 საჯარო სკოლის, წმ. დ. ყიფიანის სახელობის კერძო სკოლის მოსწავლეები, ქართული ცეკვის ანსამბლ „ფრესკის" მოცეკვავეები. მადლობას ვუხდით სურამის კულტურის სახლის თანამშრომლებს და მის დირექტორს ქალბატონ ნონა ფხიკიძე-ს, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურს და ყველა იმ ადამიანს, ვინც გამოხატა თანადგომა პატარას სიცოცხლის გადასარჩენად.

სურამის II საჯარო სკოლის დირექცია

მარიამ კიკნაძე - ``ეტალონის'' გამარჯვებული

1 თებერვალს, ხაშურის პირველ საჯარო სკოლაში, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი „ეტალონი" გაიმართა. პროექტში მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებული მოსწავლეები მონაწილეობდნენ და „ხაშურის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის" ტიტულის მოსაპოვებლად

ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დაძაბული ინტელექტუალური დაპირისპირების შედეგად გამარჯვებული გამოვლინდა; „ხაშურის ეტალონი მოსწავლის ტიტულს ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის IV საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ კიკნაძე დაეუფლა. მარიამს სიგელი და სამახსოვრო საჩუქრები ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა გადასცა და გამარჯვება მიულოცა.

„ეტალონის" წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა აღნიშნა, რომ ხაშურმა გორის რეკორდი გაიმეორა და მარიამმა 84 ქულის მოპოვება შეძლო.

ხაშურის მუნიციპალიტეტში პროექტის მხარდამჭერები იყვნენ მუნიციპალიტეტის გამგეობა და ადგილობრივი რესურსცენტრი.

თოვლის ბებო და თოვლის ბაბუ

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.